EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის დროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

მაისი 2010 №5 (17)

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის, საგარეო ურთიერთობათა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტების გაერთიანებული სხდომა

19 მაისს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის, საგარეო ურთიერთობათა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტების გაერთიანებული სხდომა გაიმართა, რომელზეც მოწვეული იყო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი — გიორგი ბარამიძე.

სახელმწიფო მინისტრმა საკანონმდებლო ორგანოს წევრებს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და დეტალურად ისაუბრა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის აქტუალურ საკითხებზე,

ბარამიძის განცხადებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ივლისის ბოლოს ხელი მოეწერება შეთანხმებას, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას ითვალისწინებს. დოკუმენტი ძალაში წლის ბოლოს უნდა შევიდეს, სამომავლოდ კი სავიზო რეჟიმის საერთოდ გაუქმება იგეგმება. აღნიშნული საკითხი ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთი ეტაპის ნაწილია, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დამცველია. გიორგი ბარამიძემ სხდომაზე ასევე ისაუბრა ევროკავშირის ახალი ინიციატივის „აღმოსავლეთის პარტნიორობის" სხვა მიმართულებებზეც. კერძოდ, ევროკავშირთან ასოცირებისა და ფართო და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების შესახებ მიმდინარე კონსულტაციებზე, საქართველოში დემოკრატიის განმტკიცებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ევროკავშირის ჩართულობაზე.

„ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ ევროკავშირთან ურთიერთობას დემოკრატიული რეფორმების კუთხით. ეს არის ინტეგრაციის პროცესი, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირთან ურთიერთობის თითოეულ ეტაპზე გვქონდეს წარმატებები", - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

სხდომაზე ასევე მოწვეულნი იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა

24 მაისს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა ერთი წლის განმავლობაში კომიტეტის მიერ საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობის მიმართულებებით გაწეული საქმიანობა შეაფასა.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, ასევე მთავრობის სხვა სტრუქტურებთან კომუნიკაციის შემდგომ გაღრმავებას გეგმავს.

როგორც ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ — დავით დარჩიაშვილმა სხდომაზე აღნიშნა, კომიტეტი აპარატის თანამშრომელთა დახმარებით რეგულარულ და ამომწურავ ინფორმაციას უნდა ფლობდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ევროინტეგრაციის პროცესში განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

დარჩიაშვილის განცხადებით, მთავრობასთან კოორდინირებული მუშაობის, საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით აპარატი კვლავ ინტენსიურად ითანამშრომლებს შესაბამის სამინისტროებთან.

ევროკალენდარი

10 ივნისი
ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის — „ტროიკას" ვიზიტი საქართველოში.
(თბილისი, საქართველო)

17 ივნისი
EURONEST-ის დელეგაციის გაფართოებული ბიუროს სხდომა.
(სტრასბურგი, საფრანგეთი)

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

მაისის დაიჯესტი

ევროპარლამენტი კლონირებული ცხოველებისგან წარმოებული პროდუქციის იმპორტს მხარს არ უჭერს

ევროპარლამენტის გარემოს, ჯანმრთელობის დაცვისა და სურსათის უვნებლობის კომიტეტმა ხმათა უმრავლესობით უარი განაცხადა ევროპის ბაზარზე კლონირებული ცხოველებისგან წარმოებული საკვების შემოტანაზე. ეს ნაბიჯი ნაწილობრივ ეწინააღმდეგება ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით არჩეულ კურსს.

ახალი საკვები პროდუქტების შესახებ ევროკავშირის მოქმედი რეგულაცია, რომელიც 1997 წელს არის მიღებული, არ ითვალისწინებს ნანოტექნოლოგიებით დამზადებული და ევროპის ფარგლებს გარეთ წარმოებული საკვების რეგულირებას.

2008 წლის იანვარში, ევროკომისიამ შეიმუშავა საკანონმდებლო ინიციატივა აღნიშნულ რეგულაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებები ითვალისწინებს ევროპის ბაზარზე ახალი და უვნებელი საკვების უმოკლეს ვადებში შემოტანას და ახალი ტიპის საკვებისა და კვების ტექნოლოგიების განვითარებას, მათ შორის, კლონირებული ცხოველებისგან წარმოებული პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე დაშვებას.

4 მაისს ევროპარლამენტის გარემოს, ჯანმრთელობის დაცვისა და სურსათის უვნებლობის კომიტეტმა სწორედ აღნიშნული ინიციატივის დამტკიცებაზე თქვა უარი.

ევროკომისია ესტონეთის ევროზონაში გაერთიანების მოგხრეა

12 მაისს ევროკომისიამ 2011 წლისთვის ესტონეთის ევროს ზონის რიგით მე-17 წევრად მიღების საკითხს მხარი დაუჭირა. მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია შეუერთდეს გაერთიანების ერთიან ვალუტას. 2004 წელს გაწევრიანებული ქვეყნებიდან მხოლოდ ოთხმა - სლოვენიამ, კვიპროსმა, მალტამ და სლოვაკეთმა შეძლეს ევროზონაში გაერთიანებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმის დაკმაყოფილება.

ეკონომიკური და მონეტარული საკითხების ევროკომისრის - ოლი რენის განცხადებით, ესტონეთმა ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია და მზადაა 2011 წლის პირველ იანვარს შეუერთდეს ევროპის ერთიან ვალუტას.

ევროკომისიის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა ევროკავშირის სხვა ქვეყნებიც დაარწმუნოს იმაში, რომ ევროზონა მზადაა შემდგომი გაფართოებისთვის, მიუხედავად საბერძნეთში არსებული ეკონომიკური კრიზისისა, რომელმაც ევროკავშირი აიძულა, გამოეყო ერთი ტრილიონი დოლარი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის შესაქმნელად. აღნიშნული მექანიზმი ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს საბერძნეთის მსგავსი პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი სკეპტიკურად უყურებს ესტონეთის შესაძლებლობას, შეამციროს ქვეყანაში ინფლაციის დონე, თუმცა ევროკომისიამ მაინც მიიჩნია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანა მზადაა ევროზონაში გაწევრიანებისთვის.

გერმანელი ევროპარლამენტარი მესლიმური ჩადრის აკრძალვის მოგხრეა

ბელგიის პარლამენტის საშინაო საქმეთა კომიტეტმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მუსლიმური ჩადრის ტარების აკრძალვას მხარი დაუჭირა. ევროპაში ამ ფაქტს მრავალი პოლიტიკოსი და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია გამოეხმაურა.

ევროპის პარლამენტის ერთ—ერთმა ვიცე—პრეზიდენტმა — გერმანელმა ლიბერალმა სილვანა კოხ—მერინმა ღიად განაცხადა, რომ მსგავსი აკრძალვა მთელი ევროპის მასშტაბით უნდა გავრცელდეს.

„მე ვისურვებდი, რომ მუსლიმური ჩადრის ყველა სახეობის ტარება აკრძალული ყოფილიყოს გერმანიასა და მთელ ევროპაში," — აღნიშნა გერმანელმა ევროპარლამენტარმა ყოველკვირეულ გამოცემა „ბილდთან" ინტერვიუს დროს.

სილვანა კოხ—მერინი ევროპარლამენტის 14 ვიცე—პრეზიდენტიდან ერთ—ერთია.

მიესალმა რა ბელგიის პარლამენტის გადაწყვეტილებას კოხ—მერინმა ასევე აღნიშნა, რომ მუსლიმური ჩადრის ტარება ქალთა უფლებების დიდი დარღვევაა და იგი ფაქტიურად „მოძრავ ციხეს" წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებმა, მათ შორის, **Amnesty International**—მა და **Human Rights Watch**—მა მკაცრად დაგმეს ბელგიის პარლამენტის ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება და ეს აკრძალვა ევროპაში მუსლიმურ საზოგადოებაზე სიმბოლურ შეტევად მიიჩნიეს.

ცნობისათვის, ბელგიაში მცხოვრები 375 ათასი მუსლიმიდან მხოლოდ რამდენიმე ათეული ქალი ატარებს მუსლიმურ ჩადრს.

ევროკავშირი იმპორტირებული სოფლის მეურნეობის ნაწარმზე კონტროლს გაამკაცრებს

17 მაისს ევროკავშირის ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრები შეიკრიბნენ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გაერთიანებაში დაწესებულ სოფლის მეურნეობის მაღალ სტანდარტებს სარგებელის მოტანა საერთაშორისო ვაჭრობაშიც შეუძლია. მინისტრების უმრავლესობა აღიარებს, რომ საერთაშორისო კონკურენციის პირობებში ევროკავშირის მოდელმა ვერ ჰპოვა სათანადო აღიარება და საჭიროა ამ მოდელის საერთაშორისო ვაჭრობაში უფრო აქტიური ლობირება. განხილულ იქნა ევროკავშირის სტანდარტების დაწესება იმპორტზე, აღნიშნული მოდელის გაზიარება მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის და სარეკლამო კამპანიების მეშვეობით მისი პოპულარიზაციის საკითხი.

ჯერ კიდევ მარტში ევროპარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარემ - პაოლო დე კასტრომ აღნიშნა, რომ თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებს სურთ საკუთარი პროდუქციის ევროპის ბაზარზე შეტანა, ისინი უნდა ეზიარონ ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მაღალი სტანდარტების მოდელს.

„ევროპელ ფერმერებს ვერ მოსთხოვ მკაცრი წესების დაცვას, როცა მესამე სამყაროს ქვეყნებს გაცილებით ნაკლები სტანდარტების დაკმაყოფილებით შეუძლიათ სასოფლო სამეეურნეო პროდუქტებისა და ხორცის ევროპაში ექსპორტირება." — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა - ნიკოლა სარკოზიმ. მანვე აღნიშნა, რომ ევროკავშირის წესები და სტანდარტები ექსპორტიორებსაც აუცილებლად უნდა დაუწესდეთ.

ევროკომისია ამზადებს მოხსენებას, სადაც იგი ევროკავშირისა და მისი მთავარი სავაჭრო პარტნიორების განსხვავებული სტანდარტების ეკონომიკური რისკებისა და შესაძლებლობების შეფასებას მოახდენს. მოხსენების გამოქვეყნება 2010 წლის დასასრულისთვის იგეგმება.

ევროპაში შესაძლოა სასმელი წყლის დეფიციტი გაჩნდეს

18 მაისს ევროკომისიამ მოხსენება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ევროპაში სასმელი წყლის მარაგები მცირდება. აღნიშნულმა პრობლემამ არა

მხოლოდ ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნები, არამედ ევროპის დიდი ნაწილი მოიცვა — რისკის ჯგუფში ჩეხეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი და ბელგიაც მოხვდნენ. ევროკომისია გამოსავალს წყლის საფასურის გაზრდაში ხედავს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობამ გარკვეული ფორმებით უკვე დააწესა წყალზე გადასახადები, ევროკომისია წყლის ხარჯების სრულად ანაზღაურებას მოითხოვს. გამომდინარე იქედან, რომ ეს ცვლილებები მტკივნეულად აისახება მომხმარებელზე, ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებმა მკაცრი ტარიფების ეტაპობრივი დაწესება გადაწყვიტეს. ევროკომისია ყველა შემთხვევაში მხარს უჭერს წყალზე საფასურის დანესებას.

„წყალი ფართო მოხმარების საგანია, რომლის მიწოდების ხარჯებს სათანადოდ ვერ ვაფასებთ." — განაცხადა ევროკომისიის წამომადგენელმა - ჯო ჰენენმა.

ევროკავშირში ფიქრობენ, რომ წყლის სხვადასხვა მიზნებისთვის მოხმარების შემცირებით შესაძლებელია მისი 20-30%-ის დაზოგვა.

კოსოვომ ბალკანურ სამიტში მონაწილეობაზე მესაძლოა უარი თქვას

2 ივნისს ქალაქ სარაევოში დასავლეთ ბალკანური სამიტი გაიმართება. კოსოვოს პრეზიდენტის — ფატმირ სეიდიუს განცხადებით, კოსოვოს წარმომადგენლები სამიტს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაესწრებიან, თუ მის ქვეყანას სახელმწიფო სიმბოლიკით მონაწილეობის უფლებას მისცემენ.

სეიდიუს თქმით, კოსოვომ გამოხატა წინასწარი მზადყოფნა, დაესწროს ევროავშირის თავმჯდომარე ქვეყნის — ესპანეთის ინიციატივით ორგანიზებულ აღნიშნულ ფორუმს, რომელიც ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქში გაიმართება, თუმცა მისი სამიტში მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუკი კოსოვოს სახელმწიფო სიმბოლიკის გამოყენების საშუალებას არ მისცემენ.

სერბეთის მთავრობა მოითხოვს, კოსოვოს დელეგაცია ფორუმზე წარმოდგენილ იყოს წარწერით — **გაეროს დროებითი ადმინისტრაციული მისია კოსოვოში**, წინააღმდეგ შემთხვევაში ოფიციალური ბელგრადის წარმომადგენლები სამიტს არ დაესწრებიან. წინა დასავლეთ ბალკანურ სამიტს, რომელიც სლოვენიის ქალაქ ბრნოში გაიმართა, სერბეთის პრეზიდენტმა — ბორის ტადიჩმა ბოიკოტი გამოუცხადა იმ მიზეზით, რომ შეხვედრას კოსოვოს პრემიერ-მინისტრი — ჰასიმ ტაჩი კოსოვოს სახელმწიფოებრივი სიმბოლოკით იყო წარმოდგენილი.

გამოყენებული წყაროები:
www.euobserver.com ;
www.euractiv.com

ევროსტატისტიკა

ევროპის ქალაქებში ცხოვრების დონის მიმოხილვა

მაისში „ევრობარომეტრმა" სტატისტიკური ანალიზის შედეგი გამოაქვეყნა, რომელიც ევროპის ქალაქებში ცხოვრების დონის შეფასებას შეეხებოდა. გამოკითხვა ევროკავშირისა და გაერთიანებაში გაწევრიანების ორი კანდიდატი ქვეყნის (თურქეთი და ხორვატია) 75 დიდ ქალაქში ჩატარდა. სულ გამოიკითხა 37500 რესპონდენტი.

კითხვაზე თუ რა მიაჩნდათ სამ ყველაზე აქტუალურ საკითხად, რესპონდენტთა უმეტესობამ დაასახელა სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის შემცირება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სათანადო განათლების მიღების შესაძლებლობა.

გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია საკუთარი ქალაქის ინფრასტრუქტურით, საჯარო შენობა-ნაგებობების, ქუჩების, სარეკრეაციო ზონების, კულტურული და სპორტული ობიექტების კეთილმოწყობით.

რესპონდენტთა 2/3-ს მოსწონს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირების სისტემა. ამ უკანასკნელის უდიდესი მომხმარებელია პარიზის, ლონდონის, პრაღის, სტოკჰოლმისა და ბუდაპეშტის მოსახლეობა. გაირკვა, რომ ევროპის დედაქალაქებში მოსახლეობის დიდი ნაწილი საზოგადოებრივი ტრანსპორტით ქალაქის გარეუბნიდან სამუშაო ადგილზე მისასვლელად სარგებლობს. მაგალითად, ლონდონის მოსახლეობის 90%, ბრატისლავას - 56% და სოფიას - 52% ყოველდღიურად მოძრაობს საგარეუბნო ტრანსპორტით.

კვლევის მონაცემებით, ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქალაქების მოსახლეობის 80% ჯანდაცვის საქალაქო სისტემის ორგანიზაციით კმაყოფილი იყო, მაშინ, როდესაც სამხრეთ ევროპის ქალაქებში აღნიშნული რიცხვი შედარებით დაბალი აღმოჩნდა.

68 ქალაქში გამოკითხულთა უმრავლესობა დადებითად აფასებს საკუთარ ქალაქში უცხოელთა ყოფნას, თუმცა თვლის, რომ მათი ინტეგრაცია სასურველ დონეზე ჯერ კიდევ არ არის.

ქალაქის მცხოვრებთათვის აქტუალურ პრობლემათა რიცხვში მოხვდა სუფთა ჰაერისა და ხმაურის საკითხი, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ვითარების გასაუმჯობესებლად ბოლო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა. იტალიის ქალაქებში გამოკითხულთა უმრავლესობამ ეს უმთავრეს პრობლემად დაასახელა. ევროპის ქვეყნების თითქმის ყველა დიდი ქალაქი (500 000-ზე მეტი მოსახლეობით) მსგავს სიტუაციაში იმყოფება. ათენის მოსახლეობის 95% ყველაზე მეტად ხმაურს უჩივის.

ჩრდილოეთ ევროპის ქალაქებში გამოკითხული მოსახლეობის 75%-მა აღნიშნა, რომ საკუთარ ქალაქში უსაფრთხოების მხრივ კარგი სიტუაციაა. გამოკითხულთა საერთო რაოდენობის უმეტესობა კი მიიჩნევს, რომ უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს საკუთარ სამეზობლო რაიონში, ვიდრე მთლიანად ქალაქში.

კვლევის მიხედვით, დაახლოებით ყოველ მესამე ქალაქში მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ადმინისტრაციული რესურსები რაციონალურად იხარჯება. მიუხედავად, გერმანიის ყველა ქალაქში უმრავლესობა მაინც უკმაყოფილოა ადმინისტრაციული მომსახურების ფუნქციონირებითა და რესურსების მიზნობრივი გამოყენებით.

EUROBAROMETER

ევრო პაიჭრა

ვაგრძელებთ დაიჯესტის წინა ნომრებში (იხ. „ევროპის დროით" 2010 წლის N1, N2, N3, N4) დაწყებულ რუბრიკას - **განათლება ევროპაში** და გაწვდით ინფორმაციას კიდევ რამდენიმე სასწავლო სტიპენდიის შესახებ

CHEVENING-ის სტიპენდიები

პროგრამა დაფინანსებულია ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის ოფისის (FCO) მიერ და ფარავს ბრიტანეთში 12 თვის მანძილზე სწავლის საფასურს (საცხოვრებელი და საერთაშორისო მგზავრობის ხარჯების ჩათვლით). სამაგისტრო პროგრამებისათვის სტიპენდიები შემდეგ სფეროებში ცხადდება:

- კონფლიქტების მოგვარება;
- ადამიანთა უფლებების დაცვა და მართვა (მედიის განვითარებისა და დემოკრატიული რეფორმის ჩათვლით);
- სასამართლო სისტემის რეფორმა (პენიტენციალური რეფორმის ჩათვლით);
- ევროპის სამეზობლო პოლიტიკა;
- ენერგოუსაფრთხოება;
- გარემოს დაცვა (პრიორიტეტული სფერო — კლიმატური ცვლილებები);
- მიგრაცია.

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

აპლიკანტი:

- უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და განაცხადის წარდგენის დროს ცხოვრობდეს საქართველოში;
- ფლობდეს უმაღლესი განათლების დიპლომს;
- უნდა გააჩნდეს სულ მცირე სამი წლის სამუშაო გამოცდილება საქმიანობის შერჩეულ სფეროში;
- სრულყოფილად ფლობდეს ინგლისურ ენას.

ზოგადი ინფორმაცია სტიპენდიის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე:
www.chevening.com

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროგრამები

საერთაშორისო განათლების ცენტრი საქართველოს მოქალაქეებისაგან იღებს განაცხადებს ერთწლიანი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ბუდაპეშტი, უნგრეთი).

პროგრამის ფარგლებში სწავლა შემდეგ სპეციალობებზეა შესაძლებელი:

- ეკონომიკა;
- გარემოს დაცვა და პოლიტიკა;
- გენდერული სწავლებანი;
- საერთაშორისო ურთიერთობები და ევროპული სწავლებანი;
- ისტორია;
- იურისპრუდენცია;
- მათემატიკა;
- მედიევალისტიკა;
- ფილოსოფია;
- პოლიტიკური მეცნიერებები;
- საზოგადოებრივი პოლიტიკის პროგრამები;
- პოლიტიკის კვლევის ცენტრი;
- სოციოლოგია და სოციალური ანთროპოლოგია.

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

აპლიკანტს უნდა ჰქონდეს სულ მცირე ოთხწლიანი საუნივერსიტეტო განათლება და ფლობდეს ან ეუფლებოდეს ბაკალავრის ხარისხს კარგი აკადემიური მოსწრებით, ამასთან სრულყოფილად იცოდეს ინგლისურ ენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შემდეგი ვებ-გვერდი: http://www.ceu.hu/

ერასმუს მუნდუსი (Erasmus Mundus)

პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები ეძლევა ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების უნივერსიტეტების ბაკალავრიატის კურსდამთავრებულ სტუდენტებს ერასმუს მუნდუსის პროგრამის მინიმუმ ერთწლიანი, ხოლო მაქსიმუმ ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის გასავლელად. ამასთანავე, მესამე ქვეყნების მკვლევარებმა შესაძლოა მიიღონ სწავლებისა და კვლევისათვის გამიზნული სტიპენდიები საშუალოდ სამთვიანი საქმიანობისათვის.

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

შეზღუდული რაოდენობის სტიპენდიები ხელმისაწვდომია მესამე ქვეყნების მოქალაქეებისათვის, რომელთაც აქვთ წარჩინებული აკადემიური მოსწრება.

აპლიკანტი:

- უნდა იყოს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში აღიარებული უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის წარჩინებული კურსდამთავრებული, ან მაღალი დონის მეცნიერი და/ან პროფესიონალი მრავალმხრივი გამოცდილებით, რომელსაც აქვს უნარი აწარმოოს კვლევა, სწავლება ან სხვა სამეცნიერო სამუშაო;
- უნდა იყოს ნებისმიერი მესამე სახელწიფოს მოქალაქე.

პროგრამისა და განაცხადის შეტანის ბოლო ვადის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, იხილოთ შემდეგი ვებ-გვერდი:
www.ec.europa.eu/education/programmes/mundus/index_en.html, ან დაუკავშირდეთ ერაზმუს მუნდუსის საინფორმაციო ელ-ფოსტას:
EACEA-Erasmus-Mundus@ec.europa.eu.

კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით
"ევროპის დროით"
იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung
Regionalprogramm Politischer Dialog Südkaukasus

ნომერზე მუშაობდნენ: ლევან ნაცვლიშვილი, ირინა ცერცვაძე, თეა ცარიელაშვილი, თამარ ჭელიძე, მარიკა კაჭარავა, საიდა სვანაძე

"ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ვებ-გვერდზე: www.eu-committee.ge